

სელის-მაცნა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში
მოქმედის ქუჩაზე, შიოშვილის სახლების წყ-
მოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბილი-
თაგანში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს
ენებზედ.



«ივერიის» ფასი

ერთის წელს 7 მ. —
ნახევრის წლის 3მ. 50კ.
თითო ნომერი « 15 კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწო-
რებს და შეამოწმებს დასაბეჭდად გამოცხადებულ
წყობილებს.

ს ა ზ ო ლ ი ტ ი კ ო და ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო გ ა მ ე თ ი .

გამოდის ხუთშაბათობით

ქართული წარმოდგენა, რომელიც მარტის 30-ს
იყო დანიშნული, იქმნება ორშაბათს, 3-ს აპრილს.
წარმოდგენენ შექსპირის დრამას, ჟენეციელი
ვაჟარი. ბილეთები იყიდება საზაფხულო თეატრის
კასსაში.

საძიებელი I. ტფილისი. II. საქართველოს მატანე:
(«ივერიის» კორრესპონდენტები). ყველიერი და გამაფხულის
ბიბი. კასის ცხოვრებამ. არსობითი საჭირო საგნებსა მო-
გვსნენ.—III. საზოგადოებრივი მიმოხილვა.—IV. საქართვე-
ლო, საზოგადოების გავლენა ქველად საქართველოზედ.—V. სასა-
მართლოს მატანე, საქმე ადრევესის ქალის მოკვლისა
(შედეგი).—VI. განცხადება.

თ ვ ი ლ ი ს ი .

ამ ვაჟ ქალაქში ჯანმრთელობისათვის დიდი
მზრუნველობა და საქმიანობაა. ჯანმრთელობის მზრუნ-
ველთა გუნდნი, მთავრობისაგან დანიშნულნი, და-
დინ დღე მუდამ და სულ იმ ფიქრში არიან, რომ ქა-
ლაქი დაისხნან უწმინდურებისაგან, ვაჟთაქიზონ, ვაჟთუ-
თავონ. სწორეთ მოგახსენათ, დროთა ვითარებაც ამას
მოითხოვდა. ცოტა რომ ადრეც დაეწყოთ ეს მცხოვრებ-
თა სახეირო საქმე, უფრო კარგი იქმნებოდა. მაგრამ
მანინ და მანინ იმისიც მადლობელი უნდა ვიყუნეთ რაც
დღეს არის. ნუბივრობას ჩვენ ჩვეულები არ ვართ

. ასეა, თუ
ისე დღეს იმას ვსვავთ, რომ ქალაქის მცხოვრებთა ჯან-
მრთელობისათვის მზრუნველობა და საქმიანობა. ეს მზრუნ-
ველობა სოფლებზეც შეესა და ესა თითქმის ყოველის
გუთხილამ იმის, რომ ყველგან მთავრობის თანხმობით
ჯანმრთელობის საქმეს შევსდგომან, ჭსუშინდენ თურმე

სოფლებს და სხუეთავეებენ უკველს ადგილს, საცა ვა
დადამანი ტრიალებს.

ეს წინ დასწრობა მოსალოდნელის უბედურებისა
დიდი საქმეა და თუ არა ვცდები, პირველი მაგალითია,
ჩვენში იმით მანინ, რომ ესეთი თვალთ-სახინაა. მე ვამ-
ბობ მოსალოდნელისა, იმცოტამ-რომ საშინელი საოფ-
ლეა გამოუბუღი ჯარში, მერე იმისთანა საოფლე რა-
მეღეც ჭირს: ვით გადადის დასშირად უბედურებით თავ-
დება. მრავალი წაუღია ამ თავ-შემოუკლელს სენსა იქ, სა-
ცა განშირებულისა და საცა არ არის ჟერე, იქითაც დღე
და დღე მიიწევს. ეგ საოფლე ვიდევ არაფერი. თვალ-
წინ გვიდგას საშინელი სახე სხვა და სხვა სენისა, რომე-
ლიც აუცილებლად მოსდევს ხოლოც ამისთანა რამს, რა-
გორიც იყო. ამოდენა დახარული ვატი და ცხენი, ისე
ხელ-და-ხელ ჩაოფლული მიწაში, ზოგან დაუმარხავიცა,
ზაფხულის სიცხისა გამო ხაწნას დაიწვეს და სრულიად
მოშხამავს ჭაერს. მოშხამული ჭაერი ვიდევ თავისას და-
მარტავს ადამანს და ვინ იტის რამდენამა გადასადებამ
ჭირმა ფრთა გაშლას. აი მოსალოდნელი უბედურება
რას ჭქვიან. სხვა და სხვა სენის გავრცელებიან მოშა ჩა-
თქირა მთავრობა და შემოხსენებული ზომიერება მიადე-
ბინა.

ამ ზომიერებამ წარმოგვიდგინა ჩვენ ზოგიერთი
ფიქრი ჩვენის ტფილისისა ჯანმრთელობის შესახებ და
ის ფიქრი საჭიროდ დაგინახეთ ვაცოდინოთ ჩვენს მკით-
სველებსა და ნამეტნავად მათ, ვისიც ხელშია ჩვენის ქა-
ლაქის ბედი და უბედობა.

ჯანმრთელობა ტფილისისა არ იქმნება დამყარებუ-
ლი მკვიდრად იმ ზომიერებით, რაც დღეს არის მიღე-
ბული მთავრობისაგან. ეგ ზომიერებანი დროებითნი
არიან, ეგ დღევანდელის დღის მოთხოვნილებას, დღე-

განდელის ჭიჩის წამალია. ჩვენ გვინდა ქალაქელების უფროდღებს მივაქციოთ იმ ზომიერებაზედ, რომელიც სამუდამოდ გამოადგება ქალაქს, დაამკვიდრებს მის ჭანძრითა და ჩვენს ესლას უგემურს ტფილისის სასიამოვნო საცხოვრებლად გასდის.

უწინ ჩვენი ქალაქი უფრო სასიამოვნო საცხოვრებელი ყოფილიყო ვიდრე დღეს. დღეს იგი უფრო მდიდარია, მაგრამ ეკ სიმდიდრე მთავრებულია მით, რომ უფრო ჭანძრითა და სხვა სხვა მისამართიან. უწინ ტფილისის აუგავებული და ამწვანებული იყო ხშირის ხეებითა და ბაღებითა. ამის გამო ქალაქში ზამთარი არ იყო ისე სუსხიანი, როგორც ესლას, და ზაფხულიც უფრო გრილი იყო და ნესტიანი. დროთა მიმავლობაში, ეკ ბაღები გადაიკაფიან, მათ ადგილას აღიმართნენ უსამართლონი სასახლეები, შენობანი შეჯგუფდნენ, ჭაყრის თავისუფალი ტრიალი მოიშალა, დაისმო ჭაყრი და ესლას ზაფხულებით ადამიანს სული ვეღარ მოუტრიალებია. ეს ამბავი მდიდართათვის ისე შესაწუხებელი არ არის, როგორც ღარიბთათვის. მდიდარი სუსხიან ზამთარშიც განთბობა და ზაზანაჟება ზაფხულშიც გრილს ადგილს იპოვის. სხვამ რა ქმნას? რა ქმნას შეუძლებელია? რა ქმნას იმან, ვინც სამსახურშია და ქალაქიდან გარედ გასულს ან სამსახური უშლის, ან შეუძლებლობა? რა ქმნას იმის ცოლ-შვილმა? რა ქმნას ამოდენა ხელსახმარ, რომელიც დღის მოკებით ცხოვრობს? რა ქმნას ამოდენა ჭეშმარიტება?

ჩვენ მამა-პაპას რომ ცოტა შორ-მხედველობა ჰქონოდა, რასაკვირველია, დღეს ჩვენი ტფილისი, ბუნებითად კარგის ჭაყრით და მდებარებით შემკობილი, ერთს სასიამოვნო ადგილად იქმნებოდა. ეგრე წინ დაუხედავად რომ არ ეძლიათ ნება სახლების შეჯგუფების, სახლების ამენებისა, საცა შესაძლო იქმნებოდა ბაღები გაემართათ, ან გამართული არ გაეკაფინებინათ, მტკვრის გუნძულებზედ ჭაღები შეენახათ, მტკვრის სანაპიროებზედ სახლები არ წამოეყუდებინათ და იქ ერთი ღაზათიანი ხეხნარები დაეპართათ, შიგა და შიგ ქალაქში ფაქრო მკიდნები დაეკლათ, ზოგი მკიდანი ბაღად ექციათ, დღეს ჩვენი ტფილისი უკეთეს საცხოვრებელ ადგილად იქმნებოდა და არ დაუგარდებოდა ბევრს ადგილს ევროპისას, რომელიც ამ უამდ აურებელს ხალხს იზიდავს და აცხოვრებს. ჭაყრი, მდებარება ტფილისისა ამას ყოველს ხელს შეუწყობდა.

რაც არა ჰქმნეს ჩვენი მამა-პაპათა, ის იმათ მიუტყუოთ. ჩვენთვის დიდი ცოდვა იქმნება, რომ ამასევე ვიფიქროთ.

ჩვენს ქალაქს დიდი ბედი მოეწიეს. თუ ახლად შექმნილი ქვეყნები შემოგვიერთეს, ჩვენი ქალაქი ერთს კარგა მარბილის ქვეყნის შუა-გული გასდება. ამას ისიც დაუმატეთ რომ ვლადიკავკასიდან ჩვენი გზა წამოვა, ჯუღთზედ, თუ უსახისაგანც უსათუოდ ამისთანავე გზა გაივლის, ბაქოს გზაც დღე დღეზედ გაიმართება, — და ყოველ ამის გამო აურებელი ხალხი მოაწოდებს ტფილისს, თუ ერთმა რამ არ დაუშალა. დაშლას იმას შეუძლიან, თუ ჩვენი ტფილისი საცხოვრებლად უგარგის იქმნება. ჩვენი ზრუნვა და ფიქრი ესლას იმაზედ უნდა იყოს მიქცეული, რომ ტფილისი კარგ საცხოვრებელ ადგილად ექციათ. ამისათვის აი რა არის ჩვენი ფიქრით სხვათა შორის საჭირო.

რაც შეიძლება მომეტებული სასიამოვნო ბაღები, ხეხნარები, ხეხნები უნდა დამართოს ქალაქში. ამას ყოველს, რასაკვირველია, ადგილი უნდა. ქალაქის მიმართველობა დღეიდამეკ უნდა შეუდგეს იმის მუცადინობას, რომ ეკ ადგილები გადაარჩინოს და არავის შედ შენობა არ დადგეგინოს. თუ ბაღების და სხვა ამ გვარის სულის მოსატრიალებელის გამართვა დღეს ქალაქს არ შეუძლიან, მაგან არ უნდა შეგვაყენოს. დეკ დღეს, თუ არ შეიძლება, ნუ გაკეთდება, თორემ ადგილები დაჩხენ თავისუფლად, რომ მაშინ მანც გაკეთდნენ, როცა ამის სასახრი და ღარიბი მოიპოვება.

ჩვენ რამოდენადც ვიცით ქალაქის წინდელი მდგომარება, აღვინახათ იმ ადგილებს, რომელთა გადაარჩენა მომავალსათვის დღესაც შესაძლოა. გადაწყვეტილია, რომ ქალაქის წინდელნი სასაფლაოები უნდა გაუქმდნენ. ფრანკების სასაფლაო და ბაღი ძალიან გამოსადეგი ადგილია იმ განზრახვისათვის, რაც შემოთა ვესთქვით. თვითონ აქ და აქედამც მთაწმინდის მოედანზე მშენიერი ბუღავარი, თუ ხეხნარი გაიმართება, როცა ამის ღარი იქმნება. ეს ერთი ადგილი, რომელიც საჭიროა თავისუფლად დაჩხენ. მეორე ადგილი მართმადიდებელთა სასაფლაო; აქაც თავის დროზედ ასეთი სასიამოვნო ხეხნარი გამოიჭიმება, რომ თქვენი მოწონებული. მესამე დღევანდელი საბოტანიკო ბაღი, რომელსაც სუიდგით, თუ სამაგიეროს მიმდებარე უნდა შემოეერთდეს კარგებოდა ადგილებიც კარგა.

შირთა გუთნიდნი. ესეც ძლიერ კარგი სასურველი ადგილი იქნება, თუ ნამეტნავად სოლოლაკის გლეჯ გათხარეს და გვირგვინთ გზა გაიტანეს. ამისი აზრიც სუთნავეს თუქმე მხარეთველთა შორის და სარწივ გამოკვლეულია ინჟინერთაგან და ამბობენ ათას თუძინს არ აღემატებაო. როგორც ხედავთ არც ეს არის შეუძლებელი საქმე. გარდა ამისა ქალაქი უნდა ეცადოს, რომ მტკვრის სანაპიროები შენობებს გადააწინოს იქ, საცა დღეს გადაწინა შეიძლება. მაგალითობრ, შეიძლება დღესვე დაინიშნოს მთელ ის სანაპირო, მტკვრისა, რომელიც მიდის მუხრანისხანთ სიდიდამ ეგზარხოსის სასადად. აქაც შეიძლება ძალიან სასიამოვნო ბუფარები გაიმართოს. ქალაქი რომ ამ საქმეს ძალიან ბეჯითად მოკიდოს, თვით მტკვარსაც ჩამოართმევს მრავალ გუნძულებს და თავის დროსად სასურველ ბაღად და ჭალებათ აქცევს. თუ ამის თავდარიგს ეხლავე შეუდგა ქალაქი და თუ თან და თან ქალაქმა შეიძლება და გაკრად, ეს ადგილები ბაღებად, ბუფარებად და ჭალებათ აქცია, მაშინ ნახეთ ეს ჩვენი დღეს უტკებური ტფილისი რა სასიამოვნო ადგილად შეიქმნება; მაშინ ნახეთ სხვა და სხვა უჭკირთა ქვეყნებში რამოდენა სახლი მოაწოდება, რომ აქ სამთარი გაატარონ; მაშინ ნახეთ რა რიგად გაიმსება ქალაქი, რა რიგად აიწვეს, რა რიგად განაღდება ვაჭრობა, რა რიგად გაკეთდება უოკელ-მხრე. დღეს ამდენს ქალაქს მარტო ორი ბაღი აქვს თითქმის. ერთი მუშტაიდი, მეორე ალექსანდროვის ბაღი. ერთი ისე შორს არის, რომ შეიძლებული კაცი თუ წავა, თორემ სხვა არავინ. მეორეც თუძინა თითქმის შუაგულს ქალაქშია, მაგრამ მარტოობით იმოდენა ზედმოქმედება არა აქვს არც ქალაქის მცხოვრებლებზე, არც ქალაქის ჭარხვედ, რამოდენიც სასურველი და სანატრელია. იმოდენა ქალაქს ერთი იმისთანა ადგილიც არა აქვს, რომ ბაშეების სთამაშო ადგილი იყოს. არიან საწყალნი ბაშეები დასმულნი ოთახებში და თუ გამოდინ იშვიანთ, ისიც ბუფარზე, საცა მართებულაბა არ ამდევს ნებს არც ცელქობისას, არც თამაშობისას.

საჭიროა, საჭიროა ქალაქმა ამ ნაკლებობას უფრო ათხოვოს; საჭიროა ამისთვის დღესვე თავდარიგს შეუდგეს. ამას მოითხოვს უოკელის ჩვენგანის სიკეთე, ჩვენი ჯანმრთელობა, ჩვენი შეილები დღეგომელობა და დასასრულ ჩვენი ნივთიერი სარგებლობაცა. თუ კიდევ ეს უთავბოლოდ მიტყუნენ ქალაქში შენობების გამართვას,

როგორც აქამდისინ, თუ ადგილები არ დავიწინებთ თავისუფლად ბაღებისა და ბუფარებისათვის რომ კაცმა სული მოიბრუნოს, ჭარხვე კარგად იმუშავოს, ჭარხვი გაგვიგრილდეს, ზაფხულში გაგვინესტიანდეს და ზამთარში ხმელი სიცივე არ გვჩაგვრავდეს, ჩვენს ტფილისს დღევანდელი უომიერებანი მთავრობისანი საბოლოოდ კერას უშეგლიან.

რა უნდა ქმნას ქალაქმა რომ ჩვენგან აღნიშნული განზრახვა აღსრულებასში მოიყვანოს? აი რა უნდა ქმნას:

უოკელს კეთილად განგებულს და გაწყობილს ქალაქს ორი ზღანი აქვს აღებული. ერთი იმისთანა ზღანი, რომელზედაც ქალაქი უნდა იყოს გამოსასული ისე, როგორც დღეს არის. ამბობენ ამისთანა ზღანის შედგენას შეჭმდგომიან კიდევანო. კარგი და პატროსანი. მაგრამ საქმისათვის ეგ სამყოფი არ არის. ქალაქმა უნდა შეადგინოს და დაამტკიცოს მეორე ზღანიც, რომელზედაც ქალაქი წარმოდგენილი უნდა იყოს, ისე როგორც მომავალში უნდა იქმნას. ამ უკანასკნელს ზღანზედ უნდა დაინიშნული იყოს ის ქუჩები, რომელნიც უნდა გასწორებულ და გაფართოებულ იქმნას; ის მოედნები, რომელნიც გაგანიერებს საჭიროებენ და დასაჩინად გადადებულ არიან; ის ადგილები, წყლის სანაპიროები, წყლის გუნძულები, საცა ბაღები, ბუფარები და ჭალები უნდა გაიმართოს და სხვა ამ გვარი. უოკელივე თვისი გადადგმა ამ ზღანის წინააღმდეგ სასტიკად აკრძალულ უნდა იქმნეს და ვისაც ან ახლის აშენება რისამე უნდა, ან ძველის განახლება, მას ნება უნდა მიეცეს მხოლოდ ამ ზღანის მიხედვითა.

იქნება ჩვენგან თქმულს ბევრი ნაკლებობა ჭქონდეს, ან სულაც გამოუსადეგი იყოს, მაგრამ საგანი ამ წერილისა უურადლები ღირსია. ამაზედ ვეკლა დაგვეთანხმება.

საქართველოს მატრიანე

ხველიანი და გაზაფხულის პირი.

(„ივერიის“ კორორესპონდენტი).

უოკელს ხალხს წელიწადში რამდენიმე დღესასწაული აქვს; ამ დღესასწაულებითა შორის ზოგი ორსამ დღესა არა თავდება, ზოგი თითო კვირასაც. ამ

დღესასწაულების განმავლობაში, როგორც მოგეხსენებათ, ხალხი (უფრო მუშა) წამდენსამე ხნის განუწყვეტლის მუშაობის შედეგად, დროს ატარებს ხალხმე „ქეიფში.“ „ქეიფი“ როგორც ყოველს საქართველოს კუთხეში, კახეთშიც უღვინოდ არ წარმოადგენს. ყველამ, ვისაც კი ცოცხად თუ ბევრად უწინადღებამიუქცევია ქართველების ცხოვრებისათვის, გინით, რომ ქართველი კაცი უსტუმროდ ქეიფს ვერ გასწევს და ანტი ღვინოს მოიჭანბებს ისე როგორც ვხედავთ სსკგან. ამისათვის დღესასწაულს დღეს, ვისაც კი „უჭყვავის“ სადმე რამე, უეჭვოდ სტუმარი უნდა შეიყვანოს სახლში. ყველიერც დღესასწაული გახლავთ, თუმცა არა უქმობენ, რადგანაც ეკლესიას არ უგრძობლავს მუშაობას. ამ დღესასწაულით ჩვენი ხალხი ესაღმება სახსნილოს და ემზადება დიდ მანხვისათვის, რომლის განმავლობაში ქართველმა „გლეხმა“ თითქმის ცარიელი ზური ან ჩჭადი უნდა სჭამოს... ყველიერცა მხიარულად გაიარა კახეთში, მაგრამ ყველასათვის კი არა. ვინ იცის რამდენი ყვალ-გადაცდებული ოჯახი არის კახეთში, რომელთაც არამც თუ ქეიფისა, ლუკმა-ზურის შოგნის ილაჯიც არა აქვთ? ვინ იცის რამდენ ოჯახში გლეხს კაცს წვრილ-შვილი შესტირის ყოველ დღე შიმშილისა გამო? მაგრამ ვინ არის ყურის მკვებელი?!.. ჩაიარეთ რომელსამე კახეთის სოფელში (თუნდა თვით თელავშიც), მიხედ-მოხედეთ რა სხვა-და-სხვა და ერთმანეთის მოწინააღმდეგე სურათები წარმოგიდგებათ: ერთის მხრით ქხედავთ, რომ მშენებელი ორ-სამ ოთახიანი (ხან ორ-სამ სათულისანიც), ეგრეზიულად აშენებული სახლი დგას და მეორეს მხრით კი... გვერდზე წამოწოლილი ქოხი, რომელიც საქათმეს უფრო მიემსგავსება, ვიდრე სახლს! ერთის მხრით ქხედავთ აუარებელს სიმდიდრეს ზოგჯერ იკეთს, რომ ზატრონს გაუნათლებლობის გამო ვერც კი მოუხმანება, მეორეს მხრით—საშინელს სიღარიბეს და ხისწულეს! ერთის მხრიდან გესმის სიმღერა და ხარხარი, მეორეს მხრიდან—მწუხარება და ტირილი! იქნება ზოგიერთ ეგონოს (გამოუთქვამთ და ამობენ კიდეც ზოგიერთი ბატონები), რომ ეს აგრეს იმიტომ, რომ მდიდარი ბევრს მუშაობს და ღარიბი ცოცხალა? მაგრამ არა, ჩემო მკითხველო. ღარიბი დილით-სადამოდინ დაუსვენებელი მუშაობს, რად-

რამ მინც ისეც ღარიბია; მდიდარი კი განცხრობით ბრძანდება და მინც ისეც მდიდარია! მაგრამ ჩემს საგანს აგრილდა.

ქო, „ყველიერცა მხიარულად გაიარა“ მეოქი. ვისაც კი გროშები ეგულებოდა ჯიბეში, ბაზრისკენ მირობდა, რომ აგები ერთი თვეზის გემო ვნახოვო; ვისაც კი უდგა რამე ქოცოში (ქვევრები დიდი ხნისა დანაცლას), ყველა ემუხებოდა, რომ სტუმრები მიეწვიას სახლში და ერთი მამ-ზაზური „სუფრული“ ან „ჩაკრული“ შემოემხნა. ამ ქართველების „ხელ-გამლილობით“ რასაკვირველია ისარგებლეს თელაველმა ვაჭრებმა და ვინ იცის რამდენი აწროლებული და დამზალი თვეზი (არც კი მე გადავხიხი ამ თელაველის ვაჭრების მოტყუებას და მეც კი მერგო ხსენებული თვეზი!) გასაღეს საწყასს ხალხზე, თორემ თელავის „ბობოლავებს“ როგორ შეაზარებდნენ (ხანდისხან არც ამით დასტოვებენ მოტყუებულად).. რამდენი ზურნა დუდუკის კვრა, რამდენი დანირა-დიმზლიზიტოსი და თარ-ჭიანურის დაკვრა იყო თელავში, ვინ იცის! ორშაბათიდან დაწყებული ყველიერის გათავგებამდინ, ყოველ დღე ათი-ხუთმეტე წვეულება იმართებოდა თელავში, სადილი გინდა თუ ვახშაში. რამდენი ჩხუბი, დაგიდაწაბა მოხდა გადაკვრის შედეგად—გერ მოვსოვლი, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ ჩინოვნიკობის წარმომადგენელთა შორისაც კი გახლდათ ღაზათიანი მუშტის კრივი. იმდენი ტვიზეს ერთმანეთი, ვიდრე მე და შენ, მკითხველო, და თვით მასშინძელი მიეშველებოდა!

მეორე თელავის ნახევარში ტბილად მიდიოდა ყველიერის ქეიფები, მაგრამ, დახე მუხანათს სოფელს, ტბილის დროების გატარება სრულიად არ ჩავგაშხამა?! ამ ქეიფებში სიკვდილმა ხელიდამ გამოგვანცლას სამწრო სასწავლებლის მასწავლებელი, ი. დ. ტატიევი, რომელიც იყო კაცი „მუშა“ თავის საქმისათვის... დმერთმა განუსვენოს იმის სულს! ი. დ. ტატიევის უდროვოდ გარდაცვალება ერთის მხრით მიემსგავსება ერთის მოსწავლის სიკვდილს... რომელის მხრით მიემსგავსება—თელავლებისათვის მიმინდვია გამოძიება...

ღატარაშიც ათამაშეს თელავში ერთი ოც-თუქმინანი ბეჭედი. ვაჭრებს ჯანი გავარდეთ, მაგრამ თუ-

ლავის ზოგიერთი სამსახურის კანდიდრამ კვატყუ-
ბენ ვაჭრებზე უმეტესად! რა ხერხიანად ჭყლეფენ ეს
ბატონები ხალხს იცით?! აი ერთი მაგალითი: ერთმა
აქაურმა სამსახურის კანდი, რომელიც ახლა „ჩინს“
მოკლის, რადგან სამაზრო სასწავლებელში „გზამე-
ნი“ მისცა, ბეჭედი, ვითომ ოც თუშნიანი, ჩააგდო
ლატარიაში (მგონი ფული შემოჭკლებოდა). ბილეთი,
ბატონო, ერთი მანეთი გახლდათ. ვა, „ოც თუშნიანი“
ბეჭედი ერთს მანეთზე ნაკლებად იქნება ბილეთი?!
გამართეს „ჩეჩენი“ (მგონი ჩაი და ლეკური თუ არ
ვიცი—გადრილიც, ყოფილიყო) აქაურს სასტუმროში,
დაიწვეს ლატარია. ყველას თურმე გულმა დაუწყო ცე-
მა, რასაკვირველია, უფრო ქალებს, როგორათაც ნახს
ქმნილებებს. განა ადვილი განლაგო, ოც თუშნიანი ბე-
ჭედი რომ გერგოთ?!.. ერგო ერთს შინს და მოსწ-
ყდათ წელი დანახჩენებს! დანახჩენებს—ვისაც ხელი
ეწერა, თორემ მე რა?! დაიწვეს ქალებმა ჩუჩხური:—
ვიშ, ქა, რაზე დაგვანბნე ტყუილად ერთი მანეთი?!
მეორე გულს უკეთებს და ეუბნება: ქალო, რას ამბობ?
თამაშობ და დროების გატარება ერთს მანეთად არა
ღირდა! შირველი იტყვის გულხატკანად: იშ!...
და გაბრუნდება. ბეჭედი გახლდათ ოქროსი (ლე-
რო), თვალთ ჩქონდა თეთრი, ბჭევრიალა. ზატრო-
ნი რომ ატარებდა, თურმე ყველას ეუბნებოდა, რომ
თეთრი იატუნიდაო. მესამე თუ მეოთხე დღეს, ლა-
ტარიის შემდეგ, ახალმა ზატრონმა უჩვენა ქვის
მცნობის. როგორ გგონია, მკითხველო, რომელი მკირ
ფასი ქვა გამოდგა „იმ“ ბეჭდის თვალთ? რა? ჭჭ...
ჭი...ი... იქა! თურმე ნუ იტყვიო, ჭიქა კი გამოდგა.
ჭიქა! ოც თუშნიანი თეთრი იატუნიდა, გამოდგა თე-
რი ჭიქა ოც კაპიკიანი! სულ მთლად, ღეროიანად
და თვლიანად „ის“ ბეჭედი დააფასეს სამს მანეთად!
ლატარიის მოთავსებ (მკელმა ზატრონმა ჩინონიქმა)
(160 მ) თქვესმეტი თუშნი აიღო სამს მანეთიანს
ბეჭედში!.. აბა მოტყუება თუ გინდათ, ეგეთი უნ-
და აი!..

ყველიერი მიიწურა... მოვიდა შაბათის საღამო ..
გამართა კრივი... დაიძალა ერთი მხარე, რომელმაც
ქვა აურია. გააქვთ თავებს ჩახა-ჩუხი ორასამდინ
კრამიტი ეკლესიისა გატყდა. ზოლიცია რას აკეთებ-
დაო, იტყვის მკითხველი. რას აკეთებდა და მადლობ
ადგილას (ნადიკრის მხარეს) იდგა და იქიდან სია-
მოყნებდა ქვის კრივის ყურებით. მინამ ხელით ორი-

ადე თავ-გატეხილი არ გამოიყვანეს—ყურებსაც არ
იბერტყავდა, და, როცა ნახეს, რომ აღარა ხუმრო-
ბენ მოკრივეებიო, ერთი თუ ორი კაცი გამოგზავნეს,
რომ ქვის კრივი დაეყენებინათ. ამ კრივის ერთმა ქვამ
ეკლესიის ჯვარიც წამოაწვინა გვერდზედ.. აღების
ღამეც კრივით გაისტუმრეს. გათენდა დიდმარხვის
ღრშაბათი—და „ყეენობის“ დღე. ყეენობა, როგორც
მოკვსენებოთ, საქართველოში ანსებობს 1795. წლიდ-
გან, როდესაც სპარსეთის შაჰმა, აღა-მაჭმედ-ხანმა
თფილისი აღაოხრა.. თელაური ყეენობა თითქმის
არაფრით განიჩქვას თფილისის ყეენობისაგან. აქაც
ზოგი ცხენზე და ზოგი ქვეითი დადიოდა და რა-
საკვირველია მხლებლებიც ჭყვანდნენ. საღამოზედ ისევე
მუშტის კრივი იყო... გავიდა ყეენობის დღეც და
დადგა ნამდვილი დიდი მარხვა, რომელსაც მოჭყვას ჩვე-
ულებრივი „სამცხედრო“ ზარის რეკა, რომე-
ლიც თითქო ეუბნება ხალხსაო, რომ რაკი მე არა
გმინარელებ, შენც, თელაო, ამ დიდს მარხვაში მინც
უნდა შესწვიტო ღვინის ქეიფიო.» მაგრამ ვინ უკ-
დება ზარის რაკა-რუკს ყურსა?! ადამიანისა არა ეს-
მისთ რა, და ზარისას გაიგონებენ?!.. რა სამარხობია
თელავის ბასანში და! ადამიანს თვალთ კი დარჩება
სედა და! დამხალი ზეთის-ხელი გინდათ (30 კ.
გირ.) ჯონჯოჯოლი (10—15 კაპ. გირვანქა), ლო-
ბიო, მაგრამ რა წითელი ლობიო!! როგორც ბრო-
ლი, სწორედ ისე ბჭევრიალებს!—როგორ ლობიო,
იკითხავს მსუიდეველი?—„ვა, რა ატლასის ლობიოადა!
მუშებს ვაჭარი, —იაფა—თოთხმეტი შაური ღირ-
რა.» (რა იაფია და!) ახლა საქმე იმაშია, რისაგან
ბჭევრიალებს ლობიო ასე?—იქნება არ დაჯერო,
მკითხველო, მაგრამ იმ ლობიოს ზეთი უსვია, ხელიც
გამითხუნა მე იმ ლობიომ. აი რისაგანა ბჭევრიალებს
აქაური ლობიო!.. ამისთანა ოსტატები არიან ჩვენი
თელაველი ვაჭრები!..

ვიშ ამ გაზაფხულს! რა მშვენიერს სურათს წარ-
მოადგენს ამ ჟამად აღაზნის გელი! ხეხილებმა ყვავი-
ლები გამოიღეს, ტყემ გოკორი გამოიღო. მინდობა
აღმადრენა მშვენიერი და სუნნელაგანი ყვავილები.
შეჭხედეთ ჯეჯილებს, როგორ ზღვასავით დელავენ
„ცივის“ ნიავის შებევით! განა თუ შესედულობით
მარტო, ბუნების მოვლენითაც დაგწმუნდით, რომ
გაზაფხული დადგა. 8-ს მარტს იკეთი მშვენიერი

წვიმა *) იყო რომ ეს! თუძცა სოცხოშელაჯ მატყუა ამ წვიმას, მაგრამ ვერაფერი ზიანი ვერ მოიტანა. ამ წვიმას და სოცხოშელას ჭექა-ქუხილიც მოტყუა, რომელმაც, როგორც „პირველმა“, ბერს დააკვრევინა ზურგზედ ქვა და ათქმევინა: „ზურგი, ზურგი მაგრძა, ჩვენი ყანა ამილია, ლეკების დამწვარა...“ გაზაფხულს ერთი კეთილი საქმეც მოტყუა: ს. კონდოლაში გაიხსნა შკოლა და სწავლაც დაიწყო, რადგანაც მასწავლებელი მოუვიდათ. მეორეს მხრით კიდევ, სამწუხარო ამბავი შევიტყუეთ ს. ყვარლიდამ, მაგრამ რაკი უძიხლოთაც გაჭიანურდა ჩვენი წერილი, იმ ამბავს შემდეგში ვაზნობებთ „ივერის“ მკითხველებს... მას ზოგი შემდეგში...

ქართველი.

13 მაისს 1878 წ.
ქ. თელავი.

ქანის ცხომრებიდამ ივერ., კორიკს.

როგორ ჭყიდულობენ ინგილოები ფარხის მრთელის ოჯახობისათვის.

ჩვენს კანში არის ბაზარში 100 ღუქნამდე, რომელშიაც ქსტხოკრობენ ორდუბათის უზდის, აქულისში მტხოკრობენი ზოკნი—სომეხნი. ამათი აქ დასასლება და პირველად კაჭრობის დაწყება ეკუთვნის ძლიერ ძველ დროს. ჯერ ჯერობით ესენი ყოფილან მხოლოდ ათიადე კომლი, მაგრამ როცა უნასვთ, რომ სანგილო ძალიან გამოსარჩენი ბუდა, მათი რიტხვი სავანებოდ აწეულა. ისენი მოდიოდნენ (და ესლაც მოდიან) სრულებით უფულოთ და უთანხოთ, და რამოდენიმე წლის განმავლობაში 1000—10000 მანეთამდე ფულს იძენდნენ და ეგრე მდიდრდებოდნენ. ახლაც ავლსნათ მიზეზები, ანუ ის გზები, რა გზითაც ეს ჩვენი სომეხები ეგრე სწრაფლად იძენენ ამოდენა სიმდიდრეს. ერთი ამ სწრაფლად გამდიდრების გზათგანი განსლავს „ინგილოების მიერ ფარხის უიდა სომეხებისაგან“ და მეორე „სომეხების მიერ პარკის უიდა ინგილოებისაგან.“

მეორის მოგესსენებათ მკითხველო, რომ ჩვენმა დედა-კაცებმა უფრო კარგად იციან ბაზარში კაჭრობა, კიდრე თვითონ მამა-კაცებმა. მაგრამ ჩვენდა საუბედუ-

როდ, ჩვენი დედა-კაცები ერთ ნაბიჯსაც ვერ გადაჭდემენ ბაზარში, ეს ძლიერ დასაძრახისია. ეს ამბავი ჩვენ დედა-კაცებში, მეორის, ანც კი დამიჯეროთ, თვათ სომეხების საქმეს და რათა, ესლავე მოგასსენებთ:

ყველა აქაურ მოკაჭრე სომეხს დაჩემებული ჭყავს მეტობები (ყონადი), თითოს ორმოცულა ათილამ სამოცულა ათამდის; ასე რომ, თუ არ თავის ყონად-სომეხთან, სხვასთან არავისთან არ ივაჭრებს აქაურნი მტხოვრები. აქაურებმან წელიწადში ორჯერ იციან ტანისამოსისათვის ფარხის უიდა. ერთი შემოდგომასე და მეორე გაზაფხულსე. ახლაც რა ჭქმნას ოჯახის პატრონმა, რომ ცოლი ბაზარში ვერ მიდის; თითონაც ვერ იცნობს ფარხას, და მეტი რაღა გზა დარჩენია, რომ ყონადი-სომეხი შინ არ მოიყვანოს და შინვე არ ივაჭროს ყველაფერი! რადესაც ოჯახობას ქსურს იუიდას ფარხა, ოჯახის პატრონი მიდის თავის ყონადთან და ეუბნება: „ჩემ სახლობას ეჭირება სხვაც და სხვაც ფარხა და ხვალ დილით ჩვენსა მოდიო და ფარხაც თან მოიტანე!“. მეორე დღეს ეგრე თერთმეტ საათსედა, სომეხი ავროებს კარკს და უვარკის ფარხას, უფრო მეტად უვარკის, და მიდის ინგილოს სახლში ცხენით. სომეხი განებე დაიგვიანებს, რომ სწორედ სადილის დროს მივიდეს ინგილოს სახლში, რადგანაც კარგად იცის ინგილოების მამა-პაპების ჩვეულება, რომ თავის დღეში უსადილოთ არ გაისტუმრებენ. ვინც ცოტათი შემძლება ამა დღეს უთუოდ ანუ ცხვარი უნდა დაჭკლას, ანუ იმის მაგიერად, რამდენიმე ქათამი გაავროს; უნდა ახლად გამომცხვარი შოთებიც მზად ჭქონდეს; ახალი ქვეკრიც უთუოდ უნდა აინადოს. მივა სომეხი თუ არა, გამარჯვებით მოიგითხავს სახლის პატრონს, მთელის სახლობით; ჩამოიღებს ფარხას, დაჯდება და თან ბოდიშს ითხოვს დაგვიანებისთვის, მოიმიზეზებს რასმეს, ამასთან ეტყვის: „გიდი, რომ პური უნდა მაჭამოთ!“. ანდაზასაც უედ მიაყოლებს—„ერთის დღის სავალი თუნდა ზურგითა, თუნდა მუცლითა!“, სახლის პატრონიც მაშინვე სინარულით მოუჯდება გვერდს და შეეჭკვიანს, როგორც მოგესსენებათ. სომეხი ეტყვის: „ახლათ ახდილი ქვეკრის ღვინო კარგი გამოდგა, ახა ყონადო ერთი კარგად დავლიოთ, ეს ღვინო კაცი ფასათაც გავა“, ხანდისხან სახლის პატრონის ცოლსაც მიავწდის ჩაქქასა, ერთი შენც დაილოცო როგორი

*) წვიმის შემდეგ, შესაძლებელია დღეს თოვლი მოვიდეს, მაგრამ ისევე ძალიან იშვიათია.

ზე, ქათამზე, ზროხაზე, ზურზე, ლომზე, შეშაზე და
 ან დაჯერებთ, ბოსტნეულზედაც. ამ ნაირად, უმთა
 ვითარების გამო, ჩვენი ხელნი (რასაკვირველია, ისინი
 რომელნიც ცხოვრებაში უბედურები არიან) ოსტა-
 ტურად საქმეს ისე აწეობს, რომ, ნებით თუ უნებურად,
 გუჭას ბრძნობისა მებრ, რაც უნდა ძვირად თუნდ ერთი
 ათადაც იყოს სავაჭრო, უნდა იყიდო, თუ კი სულ
 ღმერთი არ გაჭსწერს და ამ „შეთქმულს“ დროს ვანიმე
 შემოიტანს რამე გასასყიდლად. ჩვენებურთ სოფელეთ,
 როგორც გაავსნივეთ, ერთი შესამხნევი ხასიათი
 აქვს. ეს გასლავსთ „...“ სინაზზე, და, ამისგან,
 თვის წვრილმანის მოგების ანგარიშისათვის ამხანაგ მებო-
 ბელთ გაჭურვება. როგორც ზეგით ვსთქვი, ისინი ერთ-
 მანეთს დაჭვირდებიან, ერთმანეთთან უერთად შირს
 უქვთქვამენ სოფელ და ურთიერთ შირის ამბობენ: „ბოლო,
 თუ ჩვენ შირს მტაცებელ დავიკავებთ, — ქუთაისელნი ვაჭარნი
 ისე ვერ იფარფარებენ. რასაც ჩვენ იმათგან ვიღუფლობთ
 ის მანც და მანც ჩვენთვის მიუცილებელი საჭიროე-
 ბა არ არის; ჩვენ შეგვიძლიან ჩვენს ხელში გაკეთებუ-
 ლის ხამით, დარჩაით და შალით იოლად წავიდეთ, და
 იმათის „ამერიკის“ და ჭრელ ჩითების უწინააღმდეგე
 ღმერთი. ისინი კი უზურ-ღვინოდ და უსურსათოდ
 ვერ გაჭსდებენ, მოდი ამ ზურ-ღვინო — ზურსათს
 ჩვენ დიდი ფასი დავადოთ, და ამ ნაირად მავი-
 რი ვუყოთ იმ ჩვენისთანა ვაჭრების სისხლის მწუწნელთ
 ვაჭართა... ა, მაშინ დავინახავთ, ვინ უფრო წავებს!
 ივინი უსურსათოდ ვერ გასდებენ, და ჩვენ კი ადვილად
 შეგვიძლიან უღამალ „ამერიკოდ“ და უხითოდ ვავს-
 ღმერთ...“ „გბილი გბილისა წილ და თვალთ თვალისა
 წილ“, ამბობენ! იმულებულ იქმენ მოსეს სჯულს შე-
 უდგენ. მაგრამ, ზოგნი მათგანნი, რომელნიც უფრო
 გულაბსილნი და მტად გამომცვეთილნი არიან ცხოვრე-
 ბაში, რომელთაც სიტყვა უმადრად ღმობიოდ“ მიხნით
 და მტაცონებაზე სელი აუღიათ (რა ქქმან?! მათი ბრა-
 ლი არ არის...) ჭდალტობენ ამხანაგ-მებობელთ. გა-
 მოიხარებისა შუადამობით ქლავში; წამოიღებენ სავა-
 ჭროს და „უღთქმულის“ შირობების შესრულების შედე-
 გით მარტო საკუთრად ქსარებულბენ. რას იქმ? თუ
 ბიჭი ხარ, იმერულ უმადრად“ შეშაში ორ მანეთს ნუ
 მისცემ, ქათამში, როგორც „ჭარბინიც“ უნდა იყოს, მა-
 ნეთს, ჩაქვე ყველში ოთხ-ბახ-უზადთუნს!? და სხვანი....

ამას ის დავუმატოთ, რომ ქუთაისელნი მებალულები და,
 განსაკუთრებით, „ჭარბინი“ — ურები ორ-სამი ვერს-
 ტით გზაზე წინ დასვდებიან სოფელეთ ვლებით და სხვა
 და სხვა მანქანებით ატურებენ სოფელ. ზოგი ეუბნება:
 ბახარში რა მოგარბენინებს, შენ უბედურო, ჩემი რუ-
 ლის მადლმა ეე, იქ ჭირი არის; აქ მომივიდე, რაც რა
 გაქვს; მეტს ფასს ანც იქ მოგცემენ, და შინ წადი,
 უქიტიანოვო“....

ჩვენ ქუთაისელ დაბალთ („ხელკონურად“ დამაბლუ-
 ბულთ) მოსამსახურეთ სულ ბოლო მოგველო! რა ვქნათ,
 არ ვიცით! გვეძლევა ოცნა-ოცნა ათი მანეთი თვიური
 ჯამაგირი, და საზრდოისათვის კი, სიძვირის გამო,
 სამოცი მანეთი გვჭარბდება. გინდა თუ არ უნდა ვალებ-
 ში ჩავცვივდეთ. ჩვენ „მამული“ ვინ „მოგვაბედა“? რა
 ჩვენი საქმე!? მამული ზოგთ „ბედით ამოჩხუვლ“ შირთ
 უნდა ჭქონდესთ. თუნდ კიდევაც რომ გვეჭინდეს სუთი-
 ექვსი ქვევა მიწა, რა განძია? ჩვენ ისე ადუწურდვივართ
 ესლანდელ სასწავლებელთ და საზოგადოებას, რომ „მო-
 ძაკვდინებულ“ ცოდვად მიგვანხია სელით, მარჯვენით მუ-
 შაბა, და კიდევაც რომ არ მიგანხდეს რას იქმ?! ათი წელი
 სასწავლებელში დავიყვია და ცხოვრებაში გამოსაყენის
 ანაინც არ უსწავლებიათ. თუ დაჩხნა გინდა, ან უნდა
 იყო «მცბიერი» და «მეუხანათელი», რომ ჭადი სჭამო...
 გლეხები მატურეთ; ქუჩებზე «ზაკონების» ძალით უნდა
 ელამარკო, და ან «ვეითომ» მტაცონურის სამწერლურის
 შრომით უნდა იცხოვრო... მაგრამ, რა ნაირად იცხოვ-
 რებ? ჯამაგირი არ გეოფნის; უფროსები თვითონ კი
 ვამოფლენი არიან თავისის სვისა, რადგანაც თვითონ
 მამლარნი არიან, შენს მდგომარეობაზე უფრადლებას არ
 აქვთ... რა გეშელებს? ან უნდა გეჭინდეს შემწე
 ვინმე, ან უნდა გეჭინდეს «მეტენტი» და ან ჩვენსა
 სამზღვარ გარეთ უნდა დავუფოს რადენიმე წელი, სა-
 ცა უნდა იყოს, თუნდ ცაჰ ჭაქრ ქვემაც, თუნდ იქურდს
 უკახანებშიც... სხვერ ისეთ «ადვილს» ვინ გაღირ-
 სებს, რომ შრომის ფასი საჭმელად გეუფოს?! ეჭ ტუთი-
 ლად მომავლანდება სოფელ ერთის ჩემის მართლად გარცის
 მსწავლებელის სიტყვა: «ადვილი უნდა ექმდეს გაც
 და არა ვაცი ადგილს...» ეს თურმე სულ ფუჭი უა-
 თილა, სულ მარტო თეორიაა, პრაქტიკით ხორც შეუსხმე-
 ლი ყოფილა! იმ ნეტარ დროს, როცა სასკალიო ვე-
 ლაფერი ვარდის ფრად მესატებო და თვალთ წინ, დაიწყებდა

ციის უფროსები ამას შერებოდნენ, რომ სანდის-
სან მანტ დუკრადლანდენ «კვინიან ტონტოლებს» სოფ-
ლებს გზახედ დახდობას, და ამით მათ ვალბობას
წოდებოდნენ «აღვანს ახსმდენს» ხალხი. მაშინ ერთ-
ჯერ ორჯერ მანტ შეგვსვდებოდა პირდაპირ პატრონი-
საგან უიდას სურსათ საზრდობს, და ესაა, როცა უფრო
მომტოებული გაჭირვება არის, ეს «ერთჯერ ორჯერად»
მოგვეხსნა. ჩვენში ამას უფრადლებას არ აქვებენ;
განსჯულობით ცუდს აქურო გონების თვალი ვერ ჰხე-
დავს... უსინდისობა, ხასიათ-წამსდრობა, კაცთ-მოტყუე-
ბა, წუბოლაობა, წამდენიც დაგეტოოს, ჩადინე; არა-
გიშვს რა: ასე უნებულად იქნებოი, როგორც იუბო ტე-
რი. . . . და თუ რაიმე კარგი «შეგწამეს» (თუ არა ნამდვილ
კარგს რასმეს ვინ ჩხავს ჩვენში!), მაშინ გამოეთხროვე
შენს თავს, აივობე ბაჭვი და გაემეზავრე — სადაცა
მართლნი განისვენებენ. . . . მართლა რომ მე მომხდებო
წასვლა შიმშილას გამო «საცა მართლნი განისვენებენ»,
თუ მალე არ მივმართე ჩვენს ქალაქს თვით მმართვე-
ლობის მოთავეს, წევრთა და ხმოსანთა და მდურაწის
ცრემლით არ ესთხროვე დაუფრებელივ მოახდინონ გან-
კარგულება, რომ ზოგჯერ მიუტყუებულად საჭირო
საჭიერ სასმელად მანტ გადაწვეტილი ფასი ნამდვი-
ლად სრულდებოდავს, და, თუ შესაძლებელია, ქუთაისელ-
ნი ვაჭრნი დასჭირდნენ ასე სამოც-და-ათს მოგებას.
ეს არის ჩვენი უმოწინაღობის თხრობა. თუნდ სამოც-და-
ათი მოგებაც ძლიერ უღიერთობა-რამ არის, მაგრამ რა
გაწევობა? მიგვიერთებია! იმის ატახ-კი აღარ შეუძლიათ
ჩვენს უჭ ღარიბთ, რომ პირტყვის გირვანქა ხარცში
რც ოცი კობეკა აქლან. იმდენად მოუთმენელი უღ-
მერთობას, რომ არა თუ თვით-მმართველობის მქონე
ქალაქში, არამედ ისეთს ადგილსაც არ მოითმინება, ს. ცა
უფლად იგი დამოკიდებულია ერთის ვისმე ავანაგების და
მცარეებების მოვრეველად.

იმედი მაქვს, ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობა
მკაცრ უწრადლებას მიჰქცევს ამისთანა უსინდისოდ ცარ-
ცვას და უღიერთოდ ტყავის ძროხას; დონისძიებასც
ინმარს თვის გენერალის ტვირის შემწობით, რომ
წოდებოდნენ მანტ მტკსპობს ატეით მოვლანებები მსხუ
მინდობდნენ ჩვენ «საბრადო» ქალაქში. მანტ და მანტ
არც აქლანდ გენერალის ტვირის არის საჭირო ამ საქმი-
სათვის. ქალაქის თვით მმართველობა არის უფლებით

შემოსული თვის შინაურულ საქმეთა შესახებ, და ამ
უფლებების ძალით ისე გააწეოს საქმეს, იმედი მაქვს, რომ
არც მწკადი დასწავს და არც შემოეური, და მიგვაწვიებს
იმ დღემდის, როცა ორჯერ ნაკლებად მანტ კლირება,
ვიდრე ესაა, მიუტყუებულად საჭირო საჭიერ სასმელი.
ვიდე იმედი და იმედი! რომ არ მოხდებო!

მეორედ შესდობამდის!

ბედკრულადი.

ქ. ქუთაისი.
აპრილის 20-ს.

საზოლიტიკო მიმოხილვა

ინგლისი. საზოლიტიკო მდგომარეობა ერთი და
იგივეა, — არც მშვიდობიანობა, არც ომი. მართალია მტე-
რი მტერს შეურიგდა, ხელი ხელს გაუყარეს ერთი-ერთ-
მანეთს, მართალია შერიგების პირობები საქვეყნოდ არიან
გამოცხადებულნი, მაგრამ სომარნი ხასიათი და იგერი
არამტე თუ ჯერ არ წასვლია ცხოვრებას, არამედ მის
მოწეობილობაში იმისთანა არაიერი არ მომხდარა, რომ
მშვიდობიანობა ეტყობოდეს. ჯერ ოსმალეთი ებლანდე-
ბოდა კაცს, ახლა მის მაგივრად ინგლისი არ აძლევს
არავის მოსვენებას. მართალია უწინაც არავის არ დავიწ-
ყებია ინგლისის სახელი, რომელიცა ჩრდილსავით დას-
დევდა ოსმალის მთელის ომიანობის განმჯგობში და,
როდესც ოსმალის მოსვდებოდა ხალხე ტყვია, გამარ-
ჯვებულნი თითქო ამობდნენ გულში — აი, დაუდგება თვა-
ლი ინგლისსა. მართალია, მეთქი, კაცს გული უწინაც
ჰქონდა გამწარებული ინგლისისაგან, როგორც ესაა,
მაგრამ შესანიშნავი განსხვავებაც არის: უწინ კაცა ცო-
ტად თუ ბერად, გულ-დაჯერებული იყო, რომ ინგლი-
სი ოსმალეთის დაცვას ზრუნავს და ამიტომ უოკელი
ტყვია ოსმალის თავსედ დაცემული იყო იმავე დროს
ისარნი ინგლისის გულსადმი მიმართული. თავსაც ამით
ინუგებებდა. მაგრამ იმავე კაცს გული ერთი ათად უნდა
გაუმწარდეს ესაა, როდესაც გამოჩნდა, რომ ინგლისს
იგიქში არცა ჰქონია და არცა აქვს ოსმალეთის დაცვა.
ახლა რად: თი ანუგებოს კაცმა თავისი თავი?.. ინგლისს
დიდი ხანია ხელი აუღია ოსმალეთს. თუ უწინ ახალი-
სებდა ოსმალის ბრძოლისთვის, — მხოლოდ იმისთვის, რომ
დაესუსტებინა მეტადრე უსეთი, რომლის გამარჯვებანიც

რისთვის უჭერ იყო; უჭერ იყო აგრეთვე ისიც, რომ გამარჯვებულა გამარჯვებულა რუსეთი თუ დამარცხებული მანც და მანც უფრო სუსტი შექმნებოდა ვიდრე ბძმლის წინ იყო. და რადესაც დასუსტებო, თაქრობდა ინგლისი, მაშინ იმ გვარ დაბრკოლებას დაგხვედრებო, რომ რუსეთი იძულებული იქნება დამითმოს. ინგლისს რსმალეთის დაცვა გი არ უნდა; მას არ უნდა მსოფლიო რუსეთის გნმლაერება ბაღვანის ნახევარ-გუნძელის ახლას მოწოდებლობასკედ უმთავრესა გავლენა რუსეთს ეხერას; მას არ უნდა რუსეთის განმლაერება მარმარლო და შუა ზღვაში. ამის გამომინგლისის მთავრობა ყოველ დონისძიებას ხმარობს, რომ თქნა გამოდოს რუსეთს და თავისებურად გადაგთებანოს შერიგების პირობები. ამისათვის არაფრის არ ზოგავს ინგლისი. ინგლისის პოლიტიკა მით უფრო სპიშია რუსეთისათვის, რომ მას ცოტად თუ ბეკვად კთანხება თითქმის მთელი ევროპა, შესახებ რუსეთის განმლაერების ბაღვანის ნახევარ გუნძელსკედ.

— ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის ლორდს დერბის თავისი თანამდებობა დაუთმია. მის მატკრად როგორც ისმის, მარკიზ სალასბერი დაუნიშნავთ, რომელიც ინგლისის წარმომადგენელი იყო სტამბოლის კონფერენციის წინაშე. ამის შესახებ ნემენცური გაზეთი „National Zeitung“ შემდეგს იწერება: „მაღიან შესანიშნავი ამავი მოგვივიდა ლონდონიდან—ლორდი დერბი სამსახურიდან გამოსულა. რადესაც რი თვის წინ ინგლისის ფლოტს პირველად მიუვიდა ბმანება დარდანელის სრუტეში შესვლისა, ლორდმა დერბიმ სამსახურიდან გამოსულა დააპირა და თავისი სურვილი მარტო იმიტომ არ ასრულა, რომ იგი ბმანება უკან დაბრუნებულ იქმნა. თუ ეხლა ლორდი დერბი სამსახურიდან გამოდის იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც მინდევს მთავრობა, მამ ტკავს მძიე და შესანიშნავი განზრახვა უნდა ქმნდეს ამ პოლიტიკას. დერბი იმიტომ გამოდის სამსახურიდან, რომ რუსეთში გამომავიეს სალაშკრად. ამ განკარგულებას (რუსეთის გამომავიეს) ინგლისში უფრო მძიე საომარი მინიშნულობა აქვს, ვიდრე სხვა ქვეყნაში, რადესაც სამსახრად მოწოდებლობა ინგლისში უფრო დასართულია ვიდრე სხვაგან. გუშინ ლორდმა ბიკონსფილდმა გამომაცხადა რომ ჩემის აზრით კონგრესი ვერ მოხერხდება იმიტომ რომ დაუმატოთ ლორდის დერბის სამსახ-

სურიდან გამოსულა, აგრეთვე დიდი მზადება იმისათვის და აგრეთვე რუსეთის გამომავიეს ცხადად დავრწმუნდებით, რომ ინგლისი იმანანასს ახარობს. ლორდის დერბის გამოსვლას სამსახურიდან პირიშინაც იმგვარივე მთავრულიება მოუხდენას. ლონდონის დეპუტებს მაღიან შეუშინებოთ პარაჟის ბირჟა.

რუსეთი ეს თავის მხრით ცდლობს რსმალეთი დაიყოლიოს და ზეგი შეუკრას ინგლისის წინააღმდეგობისათვის. რსმალეთი ესლას რწ წელაშუას—ან თავის რებით უნდა მიუდგეს რუსეთს, ან არა, მაღას იხმარს რუსეთი.“

